ცხადდება კონკურსი

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის (KA171) ფარგლებში

კადისის უნივერსიტეტში (ესპანეთი) სტიპენდიების მოსაპოვებლად

აკადემიური პერსონალისათვის

(პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი),

ესპანეთი

უნივერსიტეტი	**კადისის უნივერსიტეტი (University of Cádiz)**
მიმართულება	ესპანური ფილოლოგია
მობილობის ენა	ესპანური
მობილობის განხორციელების ვადა	2027 წლის 1 მარტიდან 31 ივლისამდე (მობილობა უნდა დასრულდეს 2027 წლის 31 ივლისამდე)
ვებ-გვერდი	https://internacional.uca.es/visiting-professors-2026-27/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

წინასწარი პროცედურა

განაცხადის წარდგენამდე კანდიდატმა უნდა:

1. მისწეროს კოორდინატორს ელფოსტით („Contact“ სვეტში მითითებულ მისამართზე) და დაურთოს CV.
2. დადებითი პასუხის შემთხვევაში, კოორდინატორს ხელმოსაწერად გაუგზავნოს სამუშაო გეგმა (Mobility Agreement) .

აპლიკანტთა შესარჩევი პროცესი:

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. CV-ს ევროპული ფორმატი ინგლისურ ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv
4. აპლიკანტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა (გთხოვთ, ჩამოტვირთეთ დანართი 2, შეავსეთ გამოტოვებული ველები, ამობეჭდეთ, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ და ატვირთეთ pdf ვერსია);
5. კადისის უნივერსიტეტის კოორდინატორის მიერ ხელმოწერილი სამუშაო გეგმა (***Mobility Agreement***) ინგლისურ ენაზე, ასევე დამოწმებული თსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერითა და ბეჭდით;
6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (pre-acceptance)/ წინასწარი თანხმობა (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის

შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ) და დაადასტურებს მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური ერთეულის მზაობას, თსუ-ს მიერ ნომინაციის შემთხვევაში, უმასპინძლოს აკადემიურ პერსონალს სწავლების მიზნით (8 სალექციო საათი ყოველ 5 სამუშაო დღეში).

მობილობის პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული პერსონალი უნდა დარეგისტრირდეს გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge და ატვირთოს სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) და გამოგზავნოს განაცხადი ელექტრონულად მიმდინარე წლის 7 დეკემბრის 14:00 საათამდე (თბილისის დროით).

- ***გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია;***

დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალის mobility.tsu.ge გამოყენებასთან დაკავშირებული პირობები:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს განაცხადებას ზემოთ

- მითითებული ვადის (**7 დეკემბრის 14:00 სთ)** გასვლის შემდეგ;
- პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. **სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ გაგზავნის ღილაკის დაჭერის შემდეგ.** სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- გასაუბრების ჩატარების დრო და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [mobility.tsu.ge] მითითებულ მეილზე; გასაუბრება ტარდება ცოცხალ რეჟიმში.

ბ) ფინანსები და მობილობასთან დაკავშირებული სხვა პირობები:

- გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი მიმღები უნივერსიტეტი ანაზღაურებს როგორც სამუშაო, ასევე ერთ ან ორ სამგზავრო დღეს, რაც განიხილება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ ნომინაციისა და სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღების შემდგომ.

კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე **outgoing.staff@tsu.ge**